# საბჭოთა სპორტი - 70

საკავშირო ტურნირების წლევანდელი კალენდარი 400-ზე მეტ დიდ შეჯიბრებას მოიცავს. მათ შორისაა 60-ზე მეტი პირადი და პირად-გუნდური საკავშირო ჩემპიონატი, სსრ კავშირის თასების 20-ზე მეტი გათამაშება სპორტის 47 სახეობაში. ეს ყველაფერი მხოლოდ ნაწილია 1970-72 წლების პერსპექტიული კალენდარული გეგმისა, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა. სულ ეს გეგმა ათასზე მეტ საკავშირო შეჯიბრებას ითვალისწინებს.

წლევანდელ დიდ ასპარეზობათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ რუსეთის ფედერაციის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადა, რომელმაც უკვე აიღო სტარტი საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში, ქალაქებსა და რაიონებში. ფინალური შეჯიბრებების ალმები აღიმართება 6 მარტს ჩელიაბინსკში, მიასში, გორკში, ულიანოვსკსა და ტერსკოლში. ფინალურ ტურნირებში მიწვეული არიან მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი სპორტსმენებიც.

ამ ზაფხულს ჩატარდება კიდევ ორი კომპლექსური შეჯიბრება — ზაფხულის საკავშირო სტუდენტური თამაშები და სასოფლო სპორტული თამაშები.

საკავშირო კალენდარში პირველადაა შეტანილი ქვეყნის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში. მედლების პირველი კომპლექტებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს.

ქვეყნის ჩემპიონატებს შორის სტატუსი ჯერ კიდევ არ მიუღია საბჭოთა მებაიდარეებისა და კანოისტებისთვის ახალ სახეობას — წყლის სლალომს. მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებს უკვე მაისში ექნებათ დებიუტი გდრ-ის ოფიციალურ ასპარეზობაში, 1971 წელს კი ისინი სსრ კავშირის პირველობას გაითამაშებენ.

საგრძნობლად გაფართოვდა საკავშირო ასპარეზობათა გეოგრაფია. წლეულს სპორტსმენებს უმასპინძლებს 120 ქალაქი, რაც საბჭოთა სპორტის უდიდეს ბაზაზე მეტყველებს.

გუნდური შედეგების განსაზღვრისთვის წლევანდელი წლიდან შემოღებულია ოლიმპიური პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ მხედველობაში მიიღება საუკეთესო შედეგების მხოლოდ გარკვეული რიცხვი და არა ყველა, როგორც ადრე იყო.

მოზრდილთა საკავშირო ტურნირებში მონაწილეობა, როგორც წესი, შეუძლიათ მხოლოდ სპორტის ოსტატებს, იუნიორთა შეჯიბრებებში — პირველთანრიგოსნებს, გოგონათა და ჭაბუკთა ტურნირებში — მოზრდილთა II ან მოზარდთა I თანრიგის სპორტსმენებს.

სპორტის მოყვარულებმა, ალბათ, უკვე იციან მსოფლიო, ევროპისა და საკავშირო შეჯიბრებების კალენდარი. ახლა გაგაცნობთ რა შეჯიბრებები ჩატარდება საქართველოში:

**იანვარი.** სსრ კავშირის თასის გათამაშება ტრამპლინიდან ხტომაში. ბაკურიანი, 17-18.

**თებერვალი.** სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო რბოლებში. ბაკურიანი.

**მარტი.** სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის II წრე. თბილისი, 12-19. ფინალური შეჯიბრებები ჩოგბურთში ჭაბუკთა და გოგონათა შორის. თბილისი, 21 მარტი-2 აპრილი.

**აპრილი.** ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის I წრე. თბილისი, 3-12. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატის II წრე. თბილისი, 9-15. წყალბურთელთა პირველობა — თბილისში: II ჯგუფის გუნდებისთვის (XI-X ადგილები), 7-18; უმაღლესი ლიგისთვის—23-29. უძლიერეს ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება. თბილისი, 17-27.

**მაისი.** ზონალური შეჯიბრებები ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში. ფოთი, 18-31.

**სექტემბერი.** მძლეოსანთა ფინალური შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე. თბილისი, 23-26.

**ოქტომბერი.** ჩემპიონთა მატჩი საგზატკეცილო ველორბოლაში. თბილისი, 14-18. მძლეოსანთა შეჯიბრება ესტაფეტებში გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. თბილისი, 16-18.

ვ. ხარკოვანიანი.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 11 (4005) 17 1970 წ. იანვარი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## სასოფლო სპორტული...

ამ შემოდგომით საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშები ჩატარდება. შეჯიბრება, ალბათ, უაღრესად საინტერესო და მიმზიდველი იქნება. ასპარეზობის საზეიმო გახსნა ოდესაში დაუკავშირდება სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღეს — 11 ოქტომბერს. ამ ქალაქში 29 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე გაიმართება ფრენბურთელთა (ქალები და ვაჟები) და ხელბურთელ ვაჟთა, 10 ოქტომბრიდან კი მძლეოსნებისა და ველოსიპედისტების შეჯიბრებები.

მაგრამ თამაშების გეოგრაფია მარტო ოდესით როდი შემოიფარგლება. ცხენოსნები იასპარეზებენ მინსკში (1-7 სექტემბერი), კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები — კიშინიოვში (8-12 ოქტომბერი), ძალოსნები — მოლდავეთის ქალაქ დუბოსარიში (8-12 ოქტომბერი), მოჭადრაკეები და მოშაშეები ასევე მოლდავეთის ქალაქ კოტოვსკში (29 სექტემბერი-12 ოქტომბერი).

თამაშების პირველი შეჯიბრებები კი უკვე დაიწყო კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაიონულ ცენტრებში და საწარმო-დაწესებულებებში.

ყოველივე ეს ითქვა 1970 წლის სასოფლო სპორტული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე.

ასპარეზობის მთავარ მსაჯად დამტკიცდა საბჭოთა კავშირის მარშალი გოლიკოვი.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ მოსკოველ ფიგურისტებს ი. როდნინასა და ა. ულანოვს, რომლებმაც თითქმის შეუძლებელი შეძლეს: სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ VIII ადგილზე იყვნენ, ნებისმიერ ვარჯიშში კი ბრწყინვალედ გამოვიდნენ და კიევის სპორტის სასახლის ყინულზე სსრ კავშირის ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს წყვილთა სრიალში.

როდნინა და ულანოვი 12,8 ქულით ჩამორჩებოდნენ სავალდებულო პროგრამის ლიდერებს — ლენინგრადელებს ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვს. ნებისმიერ ვარჯიშში ეს სახელგანთქმული წყვილი სხვა დუეტებმაც ჩამოიტოვეს და, საბოლოოდ, IV ადგილზე დატოვეს.

ამრიგად, 408 ქულით (ადგილების ჯამი — 13) ოქროს მედლები დაისაკუთრეს როდნინამ და ულანოვმა. ვერცხლის მედლების ლაურეატები გახდნენ ლენინგრადელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი, ბრინჯაოს დაეპატრონენ მოსკოველები გ. კარელინა და გ. პროსკურინი.

ფოტო ი. შალამოვისა.
(„კომსომოლსკაია პრავდა“).

### ◆ რუსთავი

მე-17 საშუალო სკოლაში ჩატარდა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა და ჭადრაკი. მოსწავლეებმა ეს ღონისძიება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს.

უ. ფილიევი,
ფიზაღზრდის მასწავლებელი.

### ◆ ხობი

სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში (ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. ზარანდია) კარგად მუშაობს კალათბურთის სექცია. აქაურმა ჭაბუკმა კალათბურთელებმა ახლახან რაიონის მოსწავლეთა გუნდებში უძლიერესის სახელი მოიხვეჭეს.

ვ. კობახიძე.

### ◆ ცაგერი

ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გაიმართა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, შაში და მაგიდის ჩოგბურთი. საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს საბუღალტრო პროფილის II კურსის სტუდენტებმა.

ბ. ბუგაევა.

## ჩემპიონატს მიუძღვნეს

**პრაღა,** 14 იანვარი. ჩეხოსლოვაკიაში ახალი საფოსტო ნიშნების მთელი სერია გამოუშვეს მოთხილამურეთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც მაღალ ტატრებში ტარდება. რესპუბლიკის ერთ-ერთმა საუკეთესო მხატვარმა-მინიატურისტმა ვ. ლუკავსკიმ ამ ნიშნებზე ასახა ტატრების შესანიშნავი პეიზაჟები და საგანგებოდ ჩემპიონატისთვის აგებული ბაზები. საფოსტო ნიშნები უკვე იყიდება. ჩემპიონატის დღეებში მონაწილეებსა და მაყურებლებს შეუძლიათ შინ გაგზავნონ ბარათები არა მარტო ამ ახალი საფოსტო ნიშნებით, არამედ საგანგებო შტემპელითაც, რომელიც მოთხილამურეთა ამ დიდ შეჯიბრებას ეძღვნება.

(საკდესი).

## სეზონი გახსნეს

**ოჩამჩირე.** (ჩვენი კორ.). აქ შედგა საინტერესო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები და ქუთაისის „ტორპედოს“ ახალგაზრდული შემადგენლობა.

თამაში დამთავრდა ფრედ—1:1.

რ. მეღია.

● **კლინგენტალი,** 14 იანვარი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ავსტრიაში ამას წინათ გამართულ „ოთხი ტრამპლინის ტურნეში“ გამარჯვებულმა ჰ. კვეკმა ყველას აჯობა გდრ-ის „მფრინავ მოთხილამურეთა“ აქ ჩატარებულ შეჯიბრებაშიც. ერთ-ერთ ცდაზე მან ტრამპლინის რეკორდი დაამყარა — 100 მეტრზე გადახტა. მეორე ნახტომი სულ ერთი მეტრით ნაკლები იყო. კვეკმა 248,8 ქულა დააგროვა.

● **ვიიკ-ამ-ზეე,** 14 იანვარი. ჰოლანდიის ამ პატარა ქალაქში დაწყებული საერთაშორისო ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი იღბლიანი გამოდგა ლენინგრადელი დიდოსტატის მ. ტაიმანოვისთვის. მან I ტურში გადადებული პარტია მოუგო ჰოლანდიელ ნ. კორტლევერს. შეჯიბრების მეორე საბჭოთა მონაწილემ — მოსკოველმა ი. პლატონოვმა მეორედ გადასდო სასტარტო ტურში დაუმთავრებელი პარტია პ. ბენკოსთან (აშშ).

● **სიდნეი,** 14 იანვარი. ავსტრალიელმა მოსწავლემ, 16 წლის კარენ მორასმა 200 მ თავისუფალი სტილით 2 წუთსა და 11,3 წამში გაცურა, რაც ავსტრალიის ახალი რეკორდია. მორასმა კვლავ — ერთ კვირაში მეორედ — აჯობა სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ დები მაიერს. ავსტრალიის ძველი რეკორდი (2.11,5) 10 წლის წინათ დაამყარა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა დონ ფრეზერმა.

● **პრაღა,** 14 იანვარი. სიმაღლეზე ხტომაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა და ათენში გამართული ევროპული პირველობის ოქროს პრიზიორმა მ. რეზკოვამ ზედიზედ მეორე წელია მოიხვეჭა ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო სპორტსმენი ქალის სახელი 1969 წლის შედეგების მიხედვით


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს აუცილებელი საქმეა!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდ სპორტს სასკოლო ასაკში ეყრება საფუძველი. ამ დროს ხდება ბავშვის ნათლობა სხვადასხვა სახეობაში, იქ უნერგავენ მას ვაჟკაცურ, კეთილშობილურ ჩვევებს. ამიტომაა, რომ სკოლებს დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული მომავალი თაობის აღზრდაში, მომავალი სპორტსმენების მომზადებაში. ჩვენი წერილის მიზანია სწორედ ამ საკითხზე ვესაუბროთ მკითხველებს, გამოვთქვათ აზრი, როგორ არის დაყენებული ფიზიკური აღზრდის საქმე საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში.

სკოლების უმრავლესობაში ფიზიკური აღზრდის პროგრამებს სრულიად უგულებელყოფენ იმ მიზეზით, რომ ამ პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გასავლელად საჭირო პირობები არა აქვთ. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ამ მხრივ ბევრად უფრო ცუდი პირობები გვქონდა, მაგრამ მასწავლებლები მაინც მონდომებით ატარებდნენ გაკვეთილებს ძირითად ტანვარჯიშში, რაც მაშინ ახლანდელი ფიზაღზრდის პროგრამის მაგივრობას ეწეოდა. მართალია, უმოედნებოდ და უდარბაზებოდ მუშაობა ძნელი იყო მაშინაც, მაგრამ აღმზრდელები მაინც აღწევდნენ მოსწავლეთა საერთო ფიზიკური განვითარების დამაკმაყოფილებელ დონეს. სამწუხაროდ, დღეს ბევრ აღმზრდელს ავიწყდება თავისი მოვალეობა. მისცემენ ბავშვებს ბურთს და, თუ კლასში ათიოდე მოსწავლე თამაშით ერთობა, დანარჩენებზე აღარ ზრუნავენ.

არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა მასწავლებლები აღარ ზრუნავენ ფიზაღზრდის გაკვეთილების ნორმალურად ჩატარებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად. პირიქით, ზოგჯერ ფიზაღზრდის პროგრამების გასავლელად საჭირო იარაღები და ინვენტარი სპორტული დარბაზიდან გააქვთ, რათა ბურთის სათამაშოდ მეტი ადგილი ჰქონდეთ.

რატომ არ ამართლებს დღესდღეობით თავის დანიშნულებას ფიზაღზრდის მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა, რად გვაქვს საქმე ცუდად ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე?

მდგომარეობის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საქმეს უკვე კარგა ხანია აღარ ეთმობოდა სერიოზული ყურადღება. თითქოს ტრადიციადაც იქცა, რომ სკოლებში ფიზაღზრდის პროგრამის გავლას არავინ ამოწმებდა. 1968-69 სასწავლო წელს თბილისის განათლების განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სექტორმა სცადა შეეხსენებინა სკოლების მასწავლებლებისთვის, რომ მათი უპირველესი მოვალეობაა ფიზაღზრდის პროგრამების გავლა და ჩაატარა შეჯიბრება სკოლებს შორის ამ პროგრამების გავლის ხარისხის შესამოწმებლად. ამას ერთგვარი გაკვირვება და უკმაყოფილებაც კი გამოიწვია.

ეს იმიტომ მოხდა, რომ მასწავლებლის მუშაობას უკვე დიდი ხანია იმის მიხედვით აფასებდნენ, თუ რა ადგილს იკავებდა მისი სკოლის ესა თუ ის გუნდი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მასწავლებელიც მხოლოდ იმისთვის ზრუნავდა, რომ შეერჩია ბავშვები სკოლის გუნდებისთვის (მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, უფრო ხშირად კი კალათბურთში ან ხელბურთში) და მოემზადებინა ისინი შეჯიბრებებისთვის. მოსწავლეთა ძირითადი მასის ფიზიკურ განვითარებაზე და აღზრდაზე იგი უკვე ნაკლებად ზრუნავდა, უბრალოდ, აღარ რჩებოდა საამისო დრო.

მაშასადამე, გამოდის, რომ ჩვენ თვითონ ვუბიძგებდით მასწავლებლებს ასე მოქცეულიყვნენ, რადგან ამ გზით მათ შეეძლოთ მოეპოვებინათ სკოლისთვის საპატიო სიგელი, პრიზი, დროშა, კი, ესახელებინათ ამით საკუთარი თავიც, ამავე დროს... წაეგოთ მთავარი — მოსწავლეთა ძირითადი მასის ფიზიკური განვითარებისა და აღზრდის საქმე.

შესაძლოა, ამის მსგავსი რამ სხვა რესპუბლიკებშიც ხდებოდეს. მაგრამ ახლა უკვე ცნობილია ისიც, რომ ბევრგან, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან დაწყებული და ჩვენი უახლოესი მეზობლით — სომხეთით დამთავრებული, კარგა ხანია დაიწყეს გაცხოველებული მუშაობა ფიზაღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ერევანში, მაგალითად, ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე ბავშვებისთვის სპეციალურადაა აგებული აუზები. აქ დღისით-მზისით, ყველას თვალწინ იკაჟებენ ჯანმრთელობას და ეუფლებიან ცურვას ერევნელი ბავშვები. თუ თბილისში მხოლოდ ერთი ტანვარჯიშული დარბაზია და ისიც ამ 10 წლის წინ აგებული, ერევანში ბოლო წლებში აიგო ორი საუკეთესო დარბაზი (გ. შაგინიანისა და ა. აზარიანის საბავშვო ტანვარჯიშული სპორტსკოლებისთვის). ამ ორ სკოლას შორის ჯანსაღი მეტოქეობაა და უკვე 1969 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საუკეთესო შედეგებსაც მიაღწიეს — სომხეთის გუნდმა ტანვარჯიშში ჩემპიონობა დაისაკუთრა.

სწორია, რომ გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა გვქონდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი ტანვარჯიშული დარბაზები. მაგრამ ისიც ცხადია, რომ სკოლებში სათანადო ბაზების უქონლობით თავის გამართლება არ შეიძლება.

დიდი მოედნები და სტადიონები როდია საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლეებს მამოძრავებელი აპარატის განმავითარებელი და საერთო ფიზიკური მომზადებისთვის საჭირო ვარჯიშების სხვადასხვა კომპლექსი შევასწავლოთ.

ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა საჭიროა ავუკრძალოთ სკოლის მასწავლებლებს შეჯიბრებებისთვის გუნდების მზადება აკადემიური საათების ხარჯზე. უნდა შემუშავდეს შეჯიბრებების ჩატარების ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს საპროგრამო მასალის წარმატებით ათვისებას. სკოლის მასწავლებელთა შრომის შეფასებაც სწორედ აქედან უნდა გამომდინარეობდეს. მასწავლებლებს უნდა ეხმარებოდნენ რაიონული საბავშვო სპორტსკოლები, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექნებათ ჩამოყალიბებული სპორტული ჯგუფები. ამგვარად, უნდა ტარდებოდეს შეთანხმებული საკლასო აკადემიური და კლასგარეშე სპორტმასობრივი მუშაობა.

საჭიროა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაც. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს გამოყენებული შეკრებებიც (კვირაში ერთხელ — რაიონული, თვეში ერთხელ — საქალაქო).

ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ ასეთ შეკრებებზე მიიწვევენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს სპორტის იმ სახეობებში, რომლებიც სასკოლო პროგრამებში შედის.

**დ. ჩიკვაიძე,**
**საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**

საკდესის ცნობები

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### ზურგჩანთები, კარვები, გართობა...

*უზბეკეთის დედაქალაქში შეიქმნა სპორტული საქონლის სპეციალიზებული ფაბრიკა, რომელიც პირველია შუა აზიაში. აქ უკვე უშვებენ ტყავის ბურთებს, კრივის „მსხლებს“, ზურგჩანთებს, კარვებს, საჭიდაო და ტანვარჯიშულ ინვენტარს. მალე დაიწყება პლასტმასის ჭადრაკის, შაშის, დომინოს კომპლექტების ჩამოსხმა.*

*1972 წელს ეს საწარმო უკვე 4 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.*

*ტაშკენტი.* ე. ეფიმოვი.

### ეს იქნება ათლეტთა სამჭედლო

განხორციელდა ომსკელ სპორტსმენთა ოცნება — ირტიშის ნაპირებზე დაიწყო სპორტული ჭიდაობის სკოლის მშენებლობა. აქ გამოცდილი მასწავლებლები და მწვრთნელები კლასიკური სტილის ათლეტებს აღზრდიან.

ჭიდაობა ძალიან პოპულარულია ომსკში. მარტო ქალაქის საბავშვო სპორტულ სკოლებში ამ სახეობაში ათასზე მეტი მოზარდი ვარჯიშობს. მთავარი მიზანია ძლიერი, ამტანი, ვაჟკაცური ახალგაზრდობის აღზრდა. მას, ვინც განსაკუთრებულ ნიჭს გამოიჩენს, შეუძლია შემდგომში კიდევ უფრო სრულყოს ოსტატობა.

ომსკი. ვ. ლოგოდა.

## ახარებთ და ეამაყებათ

გურჯაანის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში აუარებელი სიგელი, დიპლომი და თასია. გვმასპინძლობენ კომიტეტის თავმჯდომარე ანზორ ჭუჭულაშვილი და „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე შალვა არუთინაშვილი. მათ ეამაყებათ თავიანთი რაიონის წარმატებები და სიამოვნებით გვიამბობენ, რომ...

— დღეისთვის რაიონში 93 ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებიც 22354 სპორტსმენს აერთიანებენ. ნაყოფიერად საქმიანობს საბავშვო სპორტსკოლა. იგი 16 ჯგუფს ითვლის და კვალიფიციური მწვრთნელებითა და მასწავლებლებითაა დაკომპლექტებული. სპორტსკოლელები განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. აღსანიშნავია აქაური ჭაბუკი ფრენბურთელების გამოსვლა რესპუბლიკის პირველობაში, სადაც მათ III ადგილი დაიკავეს.

— „კოლმეურნე“ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფიზკულტურული ორგანიზაციაა რაიონში, — საუბარი განაგრძო სოფლის სპორტსმენთა თავკაცმა არუთინაშვილმა. — იგი ბევრ კარგ საქმეს აკეთებს. მაგალითად, თავის რიგებში აერთიანებს გურჯაანის „ალაზნის“ ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც „ბ“ კლასის საკავშირო პირველობის გათამაშების მონაწილეა. ფეხბურთელებს კეთილმოწყობილი სტადიონი აქვთ. ახლა აქ უკვე დაწყებულია მუშაობა საიმისოდ, რომ მომავალი საფეხბურთო სეზონის მატჩები სიგრილეში, პროჟექტორების შუქზე ჩატარდეს. „ალაზნის“ ახალგაზრდული კოლექტივი უმაღლესი ლიგის გუნდებსაც შეხვედრია ამხანაგურ თამაშებში. გურჯაანის სტადიონზე უთამაშიათ თბილისის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოს“, მინსკის „დინამოსა“ და სხვა ძლიერ კოლექტივებს. აქ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გაუმართავს ჩეხოსლოვაკიის საკლუბო გუნდს „ტატრანს“.

კოლმეურნეობების უმრავლესობას მარტივი ტიპის სპორტული მოედნები აქვს. განსაკუთრებით გამოირჩევა ვაზისუბნის სასოფლო-სამეურნეო არტელი. აქ არის ფეხბურთის სტადიონი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები გასახდელებითა და საშხაპეთი.

ვაზისუბნელებს არც ბაკურციხელები ჩამორჩებიან. „კოლმეურნის“ VII რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლებმა I ადგილი დაიკავეს. მაღალი სპორტული მაჩვენებლებისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ბაკურციხელები მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩით“ დააჯილდოვა.

გურჯაანელები ამაყობენ თავიანთი ფრენბურთელი ვაჟებით, რომლებმაც შარშან საქართველოს „ა“ კლასის გუნდებში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

1965 წლიდან მოყოლებული, გურჯაანის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი ყოველწლიურად ჯილდოვდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელით. აქაური სპორტის მესვეურნი, მრავალათასიანი ფიზკულტურული აქტივი არც მომავალში აპირებენ საპატიო ჯილდოს ხელიდან გაშვებას.

შესანიშნავ საჩუქარს მიიღებს გურჯაანელი ახალგაზრდობა წლეულს: მწყობრში ჩადგება სპორტის სასახლე. იგი შენდება ქალაქის სტადიონის ტერიტორიაზე. ძირითადი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. აქ იქნება დახურული საცურაო აუზი, დარბაზი და ოთახები სექციების სამეცადინოდ.

გურჯაანელ ახალგაზრდობას კარგ სამსახურს უწევს რაიონული გაზეთი „ლენინის გზით“. იგი სისტემატურად აშუქებს ფიზკულტურისა და სპორტის აქტუალურ საკითხებს, დიდ ყურადღებას უთმობს მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის პროპაგანდას.

**ე. შალიკაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

გურჯაანი.

## სკოლების სპორტული საზრუნავი

კვირაში ორი ფიზკულტურის გაკვეთილის შემოღება, მთელ რიგ რესპუბლიკებში სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებში გაერთიანებულ ბავშვებთან მუშაობის ორგანიზაცია, სასწავლო-სპორტული ბაზის განმტკიცება, ფიზაღზრდის მასწავლებელთა რიცხვის ზრდა, 11 ათასი ახალი სპორტდარბაზის აგება, 4700 საკალათბურთო მოედნის მოწყობა... ეს მიღწევები მოპოვებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ. ამის თაობაზე ლაპარაკია სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ერთობლივ დადგენილებაში, რომელიც სკოლებში ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარების საკითხს ეძღვნება.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ საქმის ნაწილობრივი გაუმჯობესებაა და არა წინ გადადგმული, მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ჯერ კიდევ ყველგან სრულად არ არის გამოყენებული ახალი სასწავლო პროგრამების დიდი შესაძლებლობები, დაბალია ფიზკულტურის გაკვეთილების ორგანიზაციული და მეთოდური დონე, სპორტულ სექციებში ჯერ კიდევ ცოტა მოსწავლეა გაერთიანებული.

სასურველია უკეთესი იყოს სასკოლო სპორტული ბაზების მდგომარეობა. რვაწლიანი და საშუალო სკოლების 65 პროცენტზე მეტს არა აქვს სპორტული დარბაზები, 70 პროცენტს — მოედნები და სპორტული ქალაქები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და საუწყებო საზოგადოებები ხშირად არ ასრულებენ გადაწყვეტილებას მოსწავლეებისთვის ბაზების შეღავათიან პირობებში გადაცემის შესახებ.

განათლების სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს ამ დადგენილებით წინადადება ეძლევათ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან და კულტურის დაწესებულებებთან ერთად უკვე 1970 წლის 1 კვარტალში დაამუშაონ სკოლებში ფიზიკური კულტურის განვითარების ხუთწლიანი გეგმები. უნდა გაფართოვდეს ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მომზადება, სასკოლო სპორტული მოედნების, დარბაზების, აუზების მშენებლობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმო-დაწესებულებების ხარჯზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს, რომლებიც უმაღლესი კლასის რეზერვებს ამზადებენ ცურვაში, ტანვარჯიშში, წყალში ხტომაში, ფიგურულ ციგურაობაში, მძლეოსნობაში და ადრეულ სპეციალიზაციასთან დაკავშირებულ სხვა სახეობებში.

გადაწყდა სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ეთხოვოს 1970 წლის 1 სექტემბრისთვის დაამუშაოს ფიზაღზრდის პროგრამა გახანგრძლივებული დღეების კლასებისა და ჯგუფებისთვის, ხოლო 1971 წლის I კვარტალში ჩაატაროს აკადემიის სესია, რომელიც ფიზიკური აღზრდის სასკოლო პრობლემებს მიეძღვნება. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სკოლების მთავარმა სამმართველომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის მთავარმა სამმართველომ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და ფიზიკური კულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად წლევანდელი წლის 1 მარტისთვის უნდა დაამუშაონ დებულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და ფიზიკური კულტურის კომიტეტის კოლეგიებმა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიმართეს თხოვნით დაამუშაოს სპეციალური ზომები მოსწავლეებზე სამედიცინო კონტროლის გაუმჯობესების მიზნით.

1971-72 წლებში ჩატარდება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. ზონებში ფინალური შეჯიბრებები ქალაქისა და სოფლის სკოლების გუნდებისთვის გაიმართება ოთხ სახეობაში (1971 წ.), ფინალური ტურნირები რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივებისთვის — 12 სახეობაში (1972 წ.).

ერთი წლის შემდეგ განათლების სამინისტროები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები შესაბამის ორგანოებს მოახსენებენ, როგორ სრულდება დადგენილება. მაგრამ უკვე დღეს სკოლის დირექტორები, ფიზაღზრდის მასწავლებლები, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მწვრთნელები, კომკავშირული მუშაკები, სპორტული აქტივისტები, მშობლები და თავად მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ შეუწყონ ხელი ამ მნიშვნელოვანი დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

საჭელი

## საქართველოს ჩემპიონატი XXXI

## ჩვენ...

თბილისში დაიწყო საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი. ტურნირში სათამაშოდ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 40-მდე უძლიერესი მოჭადრაკე ჩამოვიდა აქ არიან ოსტატობის კანდიდატები გ. ბიბილეიშვილი (რუსთავი), ა რაზოვსკი (ქუთაისი), მ. არჩვაძე (სამტრედია), გ. მუკნიაშვილი (გორი), ა. ყურაშვილი (ბათუმი), ლ. ზაიდშერი (სოხუმი), ი. მანაშეროვი (ხაშური), პირველთანრიგოსნები ა. გიორგაძე (სოხუმი), ა. სუბელიანი (მესტია), ო. კობახიძე (ტყიბული), მ. დოლიძე (მახარაძე), დ. კევლიშვილი (ქარელი), გ. კუთარაშვილი (გორის რაიონი), ა. ბენდელიანი (ზუგდიდი), ბ. გოგოლაძე (ახალციხე), ლ. ქუხილავა (წალენჯიხა), ს. გორდაძე (წულუკიძე) და სხვ. თბილისიდან მონაწილეობენ ვეტერანი პირველთანრიგოსნები ა. გაგუა და ო. თურქესტანიშვილი.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით (9 ტური) გაიმართება. ფინალში დაიშვებიან I-II ადგილებზე გასულნი, ხოლო III-IV ადგილების მფლობელნი დეკემბერში ვ. ქარსელაძის მემორიალში (ქუთაისი) ითამაშებენ.

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ფინალი საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის იქნება. აქ ითამაშებენ: 10 ოსტატი და დიდოსტატი, თბილისის ჩემპიონატში I-V ადგილებზე გასულნი, ნახევარფინალის პირველი ორი პრიზიორი და სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონი ნ. ალექსანდრია (უკონკურსოდ). ეს შეჯიბრება ნანასთვის საუცხოო წვრთნა იქნება მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირისთვის, რომელიც, როგორც ცნობილია, მაისში გაიმართება. ჩემპიონატის მონაწილე ოსტატობის კანდიდატებს სპორტის ოსტატის წოდების მოპოვების შესაძლებლობა ექნებათ.

ნახევარფინალი 28 იანვრამდე გასტანს და ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ჩატარდება. ტურების დასაწყისია 16 საათი, გადადებული პარტიების დამთავრება — ყოველდღე 10-დან 12 საათამდე.

უცხოელი სპორტული მიმომხილველის თვალით

ს. ლივენსონი

# მოსკოვი მასპინძლობას აპირებს

მოსკოვის ამასწინანდელმა განაცხადმა, რომლითაც მან 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი გამოთქვა, მოსალოდნელი რეაქცია გამოიწვია დასავლეთის სამეფო, სამხედრო და მილიონერთა ჭრელ წრეებში.

ამ კანდიდატურას დიდი სიხარულით არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ზემოხსენებული წრეების ინტერესების გამომხატველი, 82 წლის ჩიკაგოელი მილიონერი ე. ბრენდეჯი შეხვდა. საქმე ისაა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კერძოდ, ლოს-ანჟელესმა უკვე დაასახელა თავი მასპინძელ ქალაქად, სადაც 1976 წელს უნდა აღინიშნოს ორი დიდი მოვლენა: ოლიმპიური თამაშები და ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საიუბილეო მე-200 წლისთავი.

აღნიშნულ ორ ქალაქს კიდევ ამდენივე კონკურენტი გამოუჩნდა. ესენი არიან 1972 წლის ოლიმპიური თამაშების აწ დამარცხებული კანდიდატურა მონრეალის სახით და ფლორენცია.

გადაწყვეტილებას, თუ ვის მისცეს უპირატესობა დასახელებულ კვარტეტში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მიიღებს მაისში, ამსტერდამის მორიგ სესიაზე.

ოთხი ქალაქიდან ფლორენციას წარმატების ყველაზე ნაკლები შანსი აქვს, ვინაიდან იტალია ოლიმპიურ თამაშებს ამ 9 წლის წინ მასპინძლობდა. მართალია, მონრეალის კანდიდატურას ადვილად ვერ აუვლიან გვერდს, მაგრამ, როგორც ჩანს, არჩევანი მოსკოვზე ან ლოს-ანჟელესზე შეჩერდება. მოსკოვი ყველაზე პერსპექტიულ კანდიდატურად მიმაჩნია, რადგან დღემდე არც ერთ სოციალისტურ ქვეყანას არ ჩაუტარებია ოლიმპიადა. აღსანიშნავია, რომ ჰელსინკი ევროპის ყველაზე აღმოსავლეთი ქვეყანა იყო, სადაც ოლიმპიადის მონაწილეები ერთმანეთს შეხვდნენ.

ჩვენს თვალში მოსკოვის აქციები კიდევ უფრო გაიზრდება, თუ გავიხსენებთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, განსაკუთრებით კი ბრენდეჯის აზრს: ოლიმპიური თამაშების პრინციპების განხორციელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პლანეტაზე თამაშების გეოგრაფიულ მონაცვლეობას.

მოსკოვს მასპინძლობის შესანიშნავი პირობები აქვს. ეს არის პირველი კლასის სპორტული მოედნები და ნაგებობანი, სადაც ბევრჯერ მოწყობილა გრანდიოზული მასშტაბის შეჯიბრებები (მაგალითად, სპარტაკიადა 10.000 სპორტსმენის მონაწილეობით). საბჭოთა კავშირის დედაქალაქს საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების დიდი გამოცდილებაც აქვს. ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს ლუჟნიკის უალრესად ტევადი ლენინის სახელობის სტადიონი, რომელიც სპორტულ ნაგებობათა მთელ კომპლექსს წარმოადგენს, სტადიონი განკუთვნილია ფეხბურთელებისა და მძლეოსნებისთვის. შეჯიბრებებს თავისუფლად დაესწრება 101 ათასი კაცი. ღია საცურაო აუზში გამართულ შეჯიბრებებს 12 ათასი სპორტის მოყვარული უქომაგებს. ამდენივე მაყურებელი ეყოლება დახურულ სპორტულ დარბაზებში გამართულ ასპარეზობებსაც.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არის კიდევ ბევრი, ოლიმპიადისთვის სავსებით ვარგისი სპორტული ცენტრი. განზრახულია ახალი კორპუსების მშენებლობა იზმაილოვოში, რომელიც ოლიმპიური სოფელი იქნება.

უდავოა, რომ საუკეთესო თუ არა, ბრწყინვალე სპორტული ნაგებობები აქვს ლოს-ანჟელესსაც. ამას გარდა, საიუბილეო მე-200 წლისთავი ქალაქს წარმატების კიდევ უფრო დიდ იმედს აძლევს. მაგრამ არის რამდენიმე ფაქტორი, რაც სახწორს კალიფორნიელების წინააღმდეგ გადახრის. მათ შორის ერთ-ერთია თვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც მაინცდამაინც დიდ ენთუზიაზმს არ გამოიჩენს, თუ მომავალ ოლიმპიადას სხვა ხასიათის დღესასწაულები „ჩაყლაპავს". ამას გარდა, ლოს-ანჟელესი ერთხელ უკვე მასპინძლობდა (1932 წ.) ოლიმპიურ თამაშებს. მაშინ კაპიტალისტური სამყაროს მსოფლიო კრიზისმა და მაღალმა ფასებმა საგრძნობლად შეამცირა მონაწილეთა რაოდენობა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ 1904 წელს ოლიმპიურ ცენტრს აშშ-ს ქალაქი სენტ-ლუისი წარმოადგენდა.

(გაზეთი „მორნინგ სტარი").

# მივხედოთ ეროვნულ საუნჯეს!

„სოვეტსკი სპორტში" წავიკითხე წერილი „ეს არის კენდო", რომელიც კენდოს თავდაპირველ ფორმას კი არ ეხებოდა (ძველად იაპონური დასჯის ერთ-ერთი ხერხი იყო), არამედ „ხის ხმლით ბრძოლის ხელოვნებას", ესე იგი, სპორტული ფარიკაობის, როგორც ორთაბრძოლის, ნაირსახეობას.

რას წარმოადგენს კენდო? ეროვნულ ტანსაცმელში, სპეციალურ გულსაფრებსა და მუზარადებში გამოწყობილი ორი მოფარიკავე ერთმანეთის პირისპირ დგება. ხელთ უპყრიათ ხის ხმლები და ცდილობენ ერთმანეთს მიაყენონ ჩეხვა ან ჩხვლეტა. მათ ბრძოლას სამი არბიტრი სჯის. გამარჯვებულია ის, ვინც პირველად მიაყენებს მოწინააღმდეგეს სამ დარტყმას. დარტყმა ჩაითვლება მაშინ, თუ მას ერთდროულად ორი მსაჯი ჩათვლის. აქაც, როგორც კლასიკურ ფარიკაობაში, ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ ვარდნებს იერიშისას, მეტოქის იარაღის აცილებას, ფარვებს და ა. შ.

კენდო ისეთი პოპულარული ყოფილა იაპონიაში, რომ მას, ვინც კარგად ფლობს კენდოს ტექნიკას, „დიდოსტატს" უწოდებენ და თურმე ისეთივე თაყვანსა სცემენ, როგორც ბრაზილიაში ფეხბურთის ვარსკვლავებს. ამ სახეობამ ევროპაშიც მოიკიდა ფეხი და გულშემატკივრებიც გამოუჩნდნენ.

ამას წინათ კენდოს იაპონელი დიდოსტატები ევროპის ქალაქებს ესტუმრნენ და საჩვენებელი ტურნირი გამართეს. მონაწილეთა შორის იყვნენ ინგლისელები, შვეიცარიელები, ჰოლანდიელები...

სწორედ ზემოხსენებულმა წერილმა აღმიძრა სურვილი გამომექვეყნებინა მასალა ხევსურულ ფარიკაობაზე. ჩვენში ხომ იგი ოდითგანვე არსებობდა და ხევსურეთში ყველაზე პოპულარული იყო.

კარგა ხანია, რაც სპორტული ფიზიოლოგიის სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ ხევსურული ფარიკაობა უფრო დადებითად მოქმედებს მოვარჯიშის ორგანიზმზე, ვიდრე კლასიკური ფარიკაობა (მხედველობაში მიიღება ის, რომ ასეთი ვარჯიშის დროს სპორტსმენები მკერდით დგანან ერთმანეთის პირისპირ და არა გვერდით, როგორც კლასიკურ ფარიკაობაში). სპორტულ ფარიკაობაში არსებობს სპეციალური მეთოდიკა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან აცილებულ იქნეს სპორტსმენის ცალმხრივი განვითარება. ხევსურული ფარიკაობა კი ამას არ საჭიროებს. იგი ყოველმხრივ ანვითარებს მომეცადინეს. ხევსურულ ფარიკაობაში საბრძოლო დგომი ასეთია: ფეხები გაშლილია მხრების სიგანეზე, მარცხენა ოდნავ წინ არის გატანილი. ტანის სიმძიმე ორივე ფეხზე ერთნაირადაა განაწილებული.

ხევსურულ ფარიკაობაში ორივე ხელი (მარჯვენაში — ხმალი, მარცხენაში — ფარი) მუდამ ახლოა ერთმანეთთან. ამრიგად, ბრძოლის დროს ხელები ერთდროულად მოძრაობს. ხმლით თავდასხმა განუყრელადაა დაკავშირებული საფარი იარაღის — ფარის მოქმედებასთან.

ორივე ხელი ოდნავ მოხრილია იდაყვში, ხოლო თუ მოფარიკავეს სამკლავეები არ უკეთია, მაშინ იდაყვები რაც შეიძლება შიგნითაა შეწეული.

ტანი ოდნავ დახრილია, რაც „საზიანო არეს" (ადგილი, სადაც დარტყმის მიყენება შეიძლება) ამცირებს. ზოგი ხევსური, რომელიც კარგად ფლობს ფარიკაობის ტექნიკას (ეს უმთავრესად ხანდაზმულებში შეიხიშნება), ცალ მუხლზე ჩამჯდარი იბრძვის დროდადრო (სურ. 2).

აქ საბრძოლო მდგომარეობის შვიდ ნაირსახეობას ვხვდებით (სურ. 1). ერთმანეთისგან ისინი ხმლის სხვადასხვაგვარად დაჭერით განსხვავდებიან: აქედან ძირითადია ის, რომლის დროსაც ხმალი ვერტიკალურ მდგომარეობაშია (წვერით ზევით). შემდეგი ნაირსახეობანი მიიღება იარაღის წვერის დახრით ან მარჯვნივ ან მარცხნივ, დაახლოებით 45, 90 და 135 გრადუსით საწყისი მდგომარეობიდან.

მებრძოლები მოძრაობენ წახტომისებური ნაბიჯებით. კლასიკური ფარიკაობისგან განსხვავებით, ხევსურულში ვარდნები არ გამოიყენება. უკან დახევა დამცირებად ითვლება და ამიტომ იშვიათად, გამოუვალი მდგომარეობის დროს თუ დაიხევს მოფარიკავე.

ხევსურულ ფარიკაობას კლასიკურისგან ისიც განასხვავებს, რომ აქ მოფარიკავეები მხოლოდ ჩეხვით დარტყმებს იყენებენ. მეტოქის დარტყმებს ფარით იგერიებენ (სურ. 3).

ხევსურული ფარიკაობა ორი ფორმითაა წარმოდგენილი: საკუთრივ ფარიკაობა, წმინდა სპორტული დანიშნულებისა და ეგრეთ წოდებული ჭრა-ჭრილობა.

ფარიკაობას ხევსური ბიჭები 5-6 წლის ასაკიდან იწყებდნენ და დაახლოებით 12 წლამდე „საჩვევ", ხის ფარხმლით მეცადინეობდნენ. მერე კი ისინი ნამდვილი იარაღით ხვეწდნენ და ეუფლებოდნენ ფარიკაობის ხელოვნებას.

მეტოქენი ერთმანეთს დარტყმებს აყენებენ თავში, მხრებში (ხანდახან ბარძაყებზეც) და ხელებში, იდაყვის სახსრის გამოკლებით. რაც შეეხება ჭრა-ჭრილობას, ხევსურული ფარიკაობის ეს ნაირსახეობა დუელის ხასიათისაა, თუმცა, მსუბუქი, მაგრამ ნამდვილი ჭრილობის მიყენებასთანაა დაკავშირებული. ამდენად, იგი სპორტული არაა და არც ჩვენ შევჩერდებით ამ სახეობის დახასიათებაზე.



ხევსურული ფარიკაობის ასეთი ძუნწი აღწერილობაც კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი ეროვნულ სახეობებში ერთ-ერთი ორიგინალური და ჯაჭკაცური სპორტია. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს ლამაზი, რაინდული სახეობა ჩვენში დავიწყებას არ მიეცეს. ამის იმედს ისიც იძლევა, რომ ხევსურთა გარკვეული ნაწილი ქართლ-კახეთის სხვადასხვა რაიონში დასახლდა და ეს სახეობა იქაც მოიკიდებს ფეხს.

ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფარიკაობის კათედრამაც, რომლის ვალია დაამუშაოს შეჯიბრების წესები, საფარიკაო იარაღების, ინვენტარისა და სხვა საჭირო საგნების სტანდარტები. მართალია, გამოკვლევა ხევსურული ფარიკაობის შესახებ რუსულ ენაზე ჯერ კიდევ 1956 წელს გამოიცა. სასურველია, ეს წიგნი ქართულადაც გვქონდეს. ეს კარგი საჩუქარი იქნება ქართველი ახალგაზრდობისთვის, განსაკუთრებით, მთიელი ჭაბუკებისთვის. რაც შეეხება ბავშვთა დაინტერესებას ხევსურული ფარიკაობით, აქ საქმე, როგორც იტყვიან, არ გაჭირდება.

ეს რომ რეალურია და არა ოცნება, ამას თუნდაც ზუგდიდის მაგალითი ადასტურებს. ამ რაიონში შარშან მშვენივრად ჩაატარეს რაიონული თამაშები ეროვნულ სახეობებში. შეჯიბრებაში ახალგაზრდებთან ერთად ხანშიშესულნიც მონაწილეობდნენ.

ყველასთვის სასიხარულო იქნება, თუ ხევსურულ ფარიკაობას ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული გართობის საშუალებად ვაქცევთ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ საერთაშორისო სპორტის სახეობების არსენალი სულ უფრო ფართოვდება. მასში ბევრი ეროვნული სახეობაც შევიდა (მაგალითად, ძიუდო, რეგბი, ბალახის ჰოკეი, ბადმინტონი, მშვილდოსნობა და სხვ.). მით უმეტეს, ვალდებული ვართ თვალის ჩინივით მოვუფრთხილდეთ ეროვნულ სახეობებს და მივხედოთ მის საუნჯეს.

ვ. ელაშვილი.





რაიონებში [illegible]

**წითელწყარო**

აქ გაიმართა რაიონის გუნდური ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. პირველობისთვის იბრძოდა 12 გუნდი. ყველას აჯობა სოფელ ზემო ქედის საშუალო სკოლის ნაკრებმა.

გ. კაკალაშვილი.

# 31 მაისს მეხიკოს

## 133 დღე გვაშორებს მექსიკის მწვანე მინდვრებზე მომავალ ბრძოლებს




## ქალღმერთი ითვლის...

ორი წლის წინ კასაბლანკაში მოეწყო კენჭისყრა — ვის უნდა ებრძოლა ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატის 16 ფინალისტის რიცხვში გასასვლელად და ვინ ვის უნდა შეხვედროდა. ფეხბურთში მთავარი ჯილდოს — ოქროს ქალღმერთის მაძიებელთა ჯგუფში მაშინ მსოფლიოს ყველა კონტინენტის 79 ნაკრები გუნდი ირიცხებოდა.

ახლა ფინალისტების ვინაობა გაირკვა, და იცით თუ არა თქვენ, რომ...

... მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტთა რიცხვში დღემდე მხოლოდ 41 ქვეყნის ფეხბურთელები შედიოდნენ. აბსოლუტური რეკორდი დაამყარეს ბრაზილიელებმა. ისინი მეცხრედ მოხვდნენ უძლიერესთა ჯგუფში. ამას გარდა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები (1958 და 1962 წლებში) სამჯერ გავიდნენ ფინალში. ჯერჯერობით ესეც რეკორდია.

... ფინალური თამაშების მონაწილეთა შორის მეშვიდედ მოხვდნენ იტალიის, გერმანიის (1950 წლიდან—გფრ-ის), მექსიკის, მეექვსედ—ურუგვაის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, მეხუთედ — შვეციისა და ბელგიის, მეოთხედ — სსრ კავშირისა და რუმინეთის, მესამედ — ბულგარეთის, მეორედ—პერუს, პირველად — სალვადორის, მაროკოსა და ისრაელის ნაკრები გუნდები.

... შესარჩევ თამაშებს 19 თვე დასჭირდა. ამ ხნის მანძილზე ჩატარებულია 172 მატჩი. არბიტრებმა 546-ჯერ აღნიშნეს კარის აღება, ესე იგი, თითო მატჩზე საშუალოდ 3 გოლი მოდიოდა.

... მაყურებლები ფეხბურთელებს ყველაზე ხშირად ევროპის კონტინენტზე აჯილდოებდნენ ტაშით, სადაც 79 შეხვედრაში გატანილია 281 ბურთი, საშუალოდ, 3,5 გოლი ერთ შეხვედრაში. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ფეხბურთის კონტინენტთა ამ შეჯიბრებაში ბოლო ადგილი დაიკავეს ლათინური ამერიკის წარმომადგენლებმა — 2,3 გოლი ერთ შეხვედრაში.

... მიუხედავად ამისა, ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა — ბრაზილიელებმა შესარჩევ თამაშებში ყველაზე მეტი — 23 ბურთი გაიტანეს. მათი ცენტრალური თავდამსხმელი ტოსტაო ჩემპიონატის პირველი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირია — 10 გოლი. შედეგიანობით მეორე ადგილზე არიან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები — დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები — 20 გოლი. ასევე მეორეა მათი ცენტრალური თავდამსხმელი მიულერი — 9 ბურთი.

... „გადარჩა" მხოლოდ ურუგვაის კარი. ორგზის მსოფლიო ჩემპიონებმა ეკვადორისა და ჩილის კარში 5 ბურთი გაიტანეს, თვითონ კი არც ერთი არ მიუღიათ.

... შესარჩევი თამაშები დაუმარცხებლად ჩაატარა მხოლოდ ექვსმა გუნდმა — სსრ კავშირის, იტალიის, გფრ-ის, ბრაზილიის, ურუგვაისა და ისრაელის ფეხბურთელებმა. (საქდესი).

## მსოფლიოს IX ჩემპიონატი ფეხბურთში

## არწივის მართვე

**მეხიკო**, 14 იანვარი. მექსიკის დედაქალაქში გამოჩნდა ფეხბურთელთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი მასპინძელი. ესაა სახაცილო არწივის მართვე, რომელიც მხატვარ ჯამანს მექსიკის ნაკრების ფორმაში გამოუწყვია. მისი სახელია „პიკო" (ქართულად ნისკარტს ნიშნავს. — რედ.). პატარა ფეხბურთელ ხუანიტოსთან ერთად პიკო ყველა რეკლამიდან მიესალმება ჩემპიონატის სტუმრებს. იგი ფეხბურთის მოყვარულთა ხსოვნაში დარჩება, როგორც მექსიკელთა გულთბილობისა და სტუმართმოყვარეობის სიმბოლო.




## ბენქსს უნდა უმადლოდნენ

**ლონდონი**, 15 იანვარი. გუშინ ინგლისის დედაქალაქში ცუდი ამინდი იდგა, მაგრამ „უემბლის" სტადიონზე 75 ათასი მაყურებელი მოვიდა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონები — ინგლისელი ფეხბურთელები და ჰოლანდიელები. მაყურებელი თავისი კერპით უკმაყოფილო დარჩა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ამ ქვეყნების ნაკრები გუნდების მატჩში გოლი არ იქნა გატანილი, არამედ მასპინძელთა საკმაოდ უხერხემლო თამაში. ინგლისელები თავიანთ მეკარე ბენქსს უნდა უმადლოდნენო, აღნიშნავენ უცხოეთის სააგენტოები. მათი აზრით, ჩემპიონები სწორედ მეკარემ გადაარჩინა წაგებას.

ჰოლანდიელები პირველად თამაშობდნენ „უემბლიზე". ისინი დამაჯერებლად მოქმედებდნენ დაცვაში და მინდვრის შუაგულში, სადაც იგრძნობოდა ინგლისის ნაკრების კაპიტნის ბ. მურის არყოფნა. მარცხენა ფრთაზე კაპიტნის მოგვარე იანი თამაშობდა, რომელმაც შესვენებამდე ბურთიც კი გაიტანა სტუმართა კარში, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა, ვინაიდან ი. მურის პარტნიორი, თავდამსხმელი ფრენსისი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

25 თებერვალს ინგლისელები ბრიუსელში ბელგიის ნაკრებს — მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში საბჭოთა გუნდის მეტოქეს — ეთამაშებიან.

## პირველი ზღუდე დაძლეულია

**ბელგრადი**, 15 იანვარი. დღეს აქ შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა ადგილობრივ „ცრვენა ზვეზდასა" და მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. დაძაბული ბრძოლა მოიგო საბჭოთა გუნდმა — 85:82 (46:45).

განსაკუთრებით დრამატული აღმოჩნდა მატჩის ბოლო წუთი: როცა ანგარიში იყო 82:82, მოსკოვის არმიელებმა ორი საჯარიმო სროლის უფლება მიიღეს, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენეს. რამდენიმე წამის შემდეგ სტუმრები კიდევ ერთხელ იღებენ საჯარიმო 2 სროლის უფლებას, მაგრამ ამჯერად უარს ამბობენ მასზე. ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ ს. ბელოვი შორიდან ზუსტი ტყორცნით ანგარიშს 85-მდე ზრდის.

22 იანვარს გაიმართება ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა მოსკოვში.

შეგახსენებთ, რომ მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში აღნიშნული გუნდების გარდა თამაშობენ საფრანგეთის „ვილერბანი" და იტალიის „ინისი".

მატჩს, რომელმაც ძალიან ინტერესი გამოიწვია, 3 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

**პრაღა**, 15 იანვარი. პირველ ჯგუფში ამ პრიზის მრავალგზის მფლობელმა — მადრიდის „რეალმა" პრაღაში მარცხის სიმწარე იწვნია ადგილობრივ „სლავიასთან" — 76:78 (35:42). მატჩის ცენტრალური მოვლენა იყო გუნდების საუკეთესო ბომბარდირების —ზედნიჩეკისა და „ესპანელი ამერიკელი" ლაიკის ორთაბრძოლა. პირველმა 25 ქულა შესძინა თავის კოლექტივს, მეორემ — 27.

მეოთხედფინალური მატჩები დამთავრდება 26 თებერვალს. ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები 16 და 26 მარტს გაითამაშებენ ნახევარფინალებს, ფინალი შედგება 9 აპრილს სარაევოში.

* * *

**ევროპის** ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი" (იუგოსლავია) — „უნივერსიტეტი" (თურქეთი) 96:82 (43:32), „მაკაბი" (ისრაელი) — „ფიდესი" (იტალია) 89:82 (44:42), „სტანდარდი" (ბელგია) — „ისკრა" (ჩეხოსლოვაკია) 101:67 (51:33), „იუვენტუდი" (ესპანეთი) — ხტკ (ფინეთი) 82:63 (47:35), აეკ-ი (საბერძნეთი) — მფკ (უნგრეთი) 86:49 (43:26).

* * *

**კრაკოვი**, 15 იანვარი. რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა წარმატებით აიღო სტარტი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში — პირველ მეოთხედფინალურ თამაშში აქ სძლია ადგილობრივ „ვისლას"—47:39 (28:21).

ინიციატივას თავიდანვე ამ პრიზის ცხრაგზის მფლობელი რიგელები დაეპატრონნენ — მე-4 წუთზე ისინი უკვე 10 ქულით დაწინაურდნენ. სწორედ ამ უპირატესობამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. სტუმართაგან საუკეთესო იყო სემიონოვა, რომელმაც 19 ქულა შესძინა თავის გუნდს. გენდელეს ანგარიშზეა 12 ქულა, გრავეს აქტივში — 6.

განმეორებითი შეხვედრა — 22 იანვარს რიგაში.

ამავე ჯგუფში თამაშობს იუგოსლავიის „ვოივოდინაც".

**კლერმონ-ფერანი**, 15 იანვარი. საფრანგეთის ამ ქალაქის უნივერსიტეტის გუნდმა — ჩემპიონთა თასის გათამაშების წარმომადგენელმა სხვა ჯგუფიდან — მოუგო სოფიის „აკადემიკს" — 57:50.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგია, სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაცია, გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი იუწყებიან საპატიო სპორტის ოსტატის

**იური დავითის ძე საგანელიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.